

პოლიტიკა და დემოკრატია

საგუბერნატორო კონფერენცია

ფარიდ ზაქარია

ქიმ და ჯუნი

ნსაია ბერლინი

ჯორჯ უ. ქენანი

ფრანსის უუქუიაბა

რობერტ კაგანი

ბილიარმო ო'დონელი

ქაროლ პეიგმანი

ფიომოთი ბარგონ უეი

იურგენ ჰაბერმასი



გამომცემლობა
ინტელექტი



EECMD

აღმსახურებელი ევროპის
ცენტრი მრავალპარტიული
დემოკრატიისთვის

რედაქტორი

ელზა ნაბახტვეელი

დამკაბადონებელი

ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი

თეონა ქანიშვილი

ISBN 978-9941-31-298-4

© ყველა უფლება დაცულია.

ნიგნი დაბეჭდილია აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) მიერ. საავტორო უფლებების შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: contact@eecmd.org

აკრძალულია ნიგნში შეტანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, შესაბამისი ნებართვების გარეშე.

თბილისი, 2020

© All Rights reserved.

This book is published by the Eastern European Centre for Multiparty Democracy. For copyright information please contact: contact@eecmd.org

It is prohibited to copy, reproduce or distribute the material for commercial purposes, without permissions.

Tbilisi, 2020

სარჩევი

ცივილიზაციათა შეჯახება? სემუელ ჰანტინგტონი	9
საუბარი ლი ჯან იუსთან ფარიდ ზაქარია	41
კულტურა ბედისწერა? კიმ დე ჯუნი	65
მღუმალება რუსულ კულტურაში ისაია ბერლინი	77
საბჭოური მმართველობის სათავეები ჯორჯ ფ. კენანი	109
ერალიბერალური დემოკრატიის აღმასვლა ფარიდ ზაქარია	131
ისჯორიის დასასრული? ფრენსის ფუკუიამა	155
პოლიტიკური იდეები მე-20 საუკუნეში ისაია ბერლინი	189
გეოპოლიტიკის სიმძიმე რობერტ კაგანი	237

დეღეგასიური დემოკრაფია გილიერმო ო'დონელი	253
დემოკრაფია და მთავრობის ხარისხი ფრენსის ფუკუიამა	277
საჯაროსა და კერძოს დიქომოფიის ფემინისფური კრიფიკა ქეროლ პეიტმანი	297
ევროპული ლიბერალური წესრიგი საფრთხეშია ტიმოთი გარტონ ეში	333
ევროკავშირის მნიშვნელობის გააზრება: ქოსმოპოლიფური ევროპისკენ იურგენ ჰაბერმასი	351
ავგორები	375
საქიებლები პირთა სახელები გეოგრაფიული სახელები	391 397

ქვირფასო მკითხველო,

ამ გამოცემის იდეა ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი „დემოკრატიის სკოლების“ სასწავლო მასალის გაუმჯობესებაზე ფიქრისას გაგვიჩნდა. ჩამოვწერეთ იდეები, რომელთა განხორციელება წაადგებოდა სწავლების პროცესს; შევადგინეთ იმ საკითხების ნუსხა, რომელთა მოგვარება პირველი რიგის ამოცანად დავისახეთ; და რაც მთავარია, შევარჩიეთ წიგნები, რომელთა გაცნობა აუცილებლად მივიჩნიეთ ჩვენი სტუდენტებისათვის... ამ პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ პრაქტიკულად არც ერთი წიგნი არ იყო ქართულად ნათარგმნი. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, თავად გვეთარგმნა არაერთი ყურადსაღები ნაშრომი, რაც სასწავლო პროგრამას სჭირდებოდა. ასე შეიქმნა და გამოიცა პირველი ტომი სერიისა „პოლიტიკა და დემოკრატია: აუცილებელი საკითხავი“, მას მალევე მოჰყვა მეორე ტომიც.

საქართველოში ხარისხიანი განათლების მიღებას გარკვეულწილად აფერხებს ის, რომ ქართულ ენაზე ნაკლებად ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა. ამას ემატება თანამედროვე გლობალური სამეცნიერო ენების ცოდნის არასათანადო დონეც. იმ პირობებში, როცა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა სტაგნაციას განიცდის, როდესაც კოვიდ-19 პანდემიის გამო სტუდენტები და მოსწავლეები აუდიტორიებსა თუ საკლასო ოთახებში შეკრებასაც კი იშვიათად ახერხებენ, მაღალი ხარისხის სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა, ქართულად გამოცემა მართლაც უალრესად მნიშვნელოვან, ეროვნულ საქმედ მიგვაჩნია.

ამ წიგნში გაერთიანებული პუბლიკაციები თანამედროვე პოლიტიკური აზრისა და დებატების ძალიან მცირე, მაგრამ მეტად ფასეული და განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომ დავამატეთ მის სახელწოდებას „აუცილებელი საკითხავი“: ჰაბერმასის, ჰანტინგტონის, ფუკუიამას თუ ბერლინის ნააზრევის გაცნობისა და მათი ნაშრომების წაკითხვის

გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე პოლიტიკურ დისკუსიაში ორიენტირება, გზის გაკვლევა. ამასთანავე, წიგნი მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, თავად გაეცნოს მსოფლიოს ამ წამყვან მოაზროვნეთა შეხედულებებს დემოკრატიზაციის, გლობალიზაციის, ფემინიზმის, პოლიტიკური განვითარების, პოლიტიკური სისტემების თუ ომისა და კონფლიქტის შესახებ. ამით, ცხადია, თავს აარიდებენ ხშირად დამახინჯებულ, ზოგჯერ კი ანტიდემოკრატიული პროპაგანდის მეშვეობით განზრახ მანიპულირებულ ინტერპრეტაციებს.

სემუელ ჰანტინგტონისა და ფრენსის ფუკუიამას სტატიებმა დასაბამი დაუდეს სერიოზულ დებატებს ცივილიზაციებისა და კულტურების მომავლის, მათ შორის კონფლიქტისა თუ ლიბერალური დემოკრატიის პერსპექტივების შესახებ. არცთუ იშვიათად, ასეთ ავტორებსა და მათ მოსაზრებებზე უფრო მეტს კამათობენ, ვიდრე კითხულობენ. ამიტომაც, იმედი მაქვს, რომ მათი სტატიების ქართული თარგმანი ამ ხარვეზის გამოსწორებას წაადგება.

ისაია ბერლინის ფუნდამენტური მნიშვნელობის სტატია „პოლიტიკური იდეოლოგიები მეოცე საუკუნეში“ დაგვეხმარება მთლიან, მასშტაბურ სურათად დავინახოთ, თუ როგორი ტრანექტორიით ვითარდებოდა პოლიტიკური აზრი მეოცე საუკუნეში, რა ფაქტორები განაპირობებდა მათ მდინარებას, რამ გამოიწვია გასული საუკუნის ორი ისეთი ტოტალიტარული იდეოლოგიის აღზევება, როგორცაა ფაშიზმი და კომუნიზმი... და რაოდენ არსებითია, მუდამ გვახსოვდეს – რთული კითხვების ავტორთა დისკრედიტაციის ან თავად ამ კითხვების „გაცამტვერების“ ნაცვლად, ყოველთვის სჯობს ამ კითხვებზე პასუხების ძიების შესაძლოა რთული, მაგრამ დინამიკური პროცესი. განა სწორედ ეს არ წარმოადგენს დიდ და სასიცოცხლო განსხვავებას, რაც დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის არსებობს?

ჯორჯ ქენანის „საბჭოური მმართველობის სათავეები“ 1947 წელს გამოიცა, და შემდგომ დიდი როლი ითამაშა აშშ-ისა და ნატოს პოლიტიკის შექმნაში საბჭოთა კავშირის შესაკავებლად. ვფიქრობ, ის ისევე აქტუალური და რეალისტურია ახლა, როგორც ადრე, და მისი ხელახლა წაკითხვა არ იქნებოდა ურიგო სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

ისაია ბერლინის „მდუმარება რუსულ კულტურაში“ დაგვეხმარება, უფრო ნათლად დავინახოთ რუსული ავტორიტარიზმის კულტურული

და ისტორიული საწყისები, ხოლო ფარიდ ზაქარიას ცნობილი სტატია არალიბერალური დემოკრატიის აღზევების შესახებ, უმრავლესობის სახელით თავისუფლების განადგურების რისკებს ეძღვნება. ო'დონელის, ფეითმანის, ფუკუიამას თუ კაგანის გავლენიანი პუბლიკაციები ხშირად დემოკრატიული განვითარებისა და მმართველობისათვის საგულისხმო ისეთ პრობლემურ საკითხებზე დაგვაფიქრებს, რომლებმაც შესაძლოა უკეთ დაგვანახვონ დემოკრატიული კონსოლიდაციისაკენ მიმავალი გზა საქართველოში.

და კიდევ, თიმოთი გარტონ ეშისა და იურგენ ჰებერმასის მოსაზრებები თვალნათლივ გვაჩვენებს, თუ რა დილემისა და არჩევანის წინაშეა თანამედროვე საზოგადოებები, განსაკუთრებით – დემოკრატიულ ევროპაში. მათი გამოცდილება კი ჩვენთვისაც უაღრესად საინტერესოა.

ჩვენს ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში საქართველო ვერ იქნება იზოლირებული და, ჩემი ღრმა რწმენით, არც უნდა ესწრაფოდეს ამას. სულაც პირიქით: ჩვენი განვითარება და გაძლიერება მხოლოდ მდიდარ მსოფლიო გამოცდილებას, მის მუდმივ გაზიარებასა და ქართულ გარემოსთან შესაბამის გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკური განათლებისა და განვითარების შესახებ: იმისათვის, რომ დავძლიოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემები, უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ შეძლეს ეს სხვებმა.

დასასრულ: ეს წიგნი იმითაც არის შეუდარებლად ფასეული, რომ სტატიები ქართულად თარგმნეს ჩვენმა წამყვანმა პოლიტიკის მეცნიერ-სპეციალისტებმა. შედეგად, ხშირად რთული კონცეფციები თუ ტერმინოლოგია ნათლად, ადეკვატურად და გასაგებად არის გადმოცემული ქართულ ენაზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მჯერა, „პოლიტიკისა და დემოკრატიის“ ეს ახალი გამოცემა ერთდროულად იქნება როგორც სასარგებლო, ისე კარგი საკითხავი.

გისურვებთ, ისიამოვნოთ კითხვისას!

ლევან სუსჟიჩიძე,

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის

სივილიზაციათა შეჯახება?

სემუელ ჰანტინგტონი, 1993

კონფლიქტების სამომავლო მოდელი

მსოფლიო პოლიტიკა ახალ ფაზაში შედის და ინტელექტუალები აქტიურად ავრცელებენ თავიანთ შეხედულებებს, თუ როგორი იქნება იგი: ისტორიის დასასრული, ერ-სახელმწიფოებს შორის ტრადიციული მტრობის გაღვივება, ერ-სახელმწიფოს როლის დაკნინება ტრაიბალური და გლობალური ინტერესების შეჯახების შედეგად, თუ რაიმე სხვა. თითოეული მოსაზრება ეფუძნება არსებულ ტენდენციებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს გლობალური პოლიტიკის მთავარ ასპექტს უახლოესი მომავლისთვის.

ჩემი ჰიპოთეზა ასეთია: ახალ მსოფლიოში კონფლიქტების ძირითადი მიზეზი არ იქნება იდეოლოგიური ან ეკონომიკური ხასიათისა. კაცობრიობის დაყოფა და კონფლიქტის წარმოშობა, ძირითადად, კულტურულ საფუძველზე მოხდება. ერ-სახელმწიფოები მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებში ძლევამოსილ მოთამაშეებად დარჩებიან და ძირითადი კონფლიქტები ერებსა და ცივილიზაციათა ჯგუფებს შორის წარმოიქმნება. ცივილიზაციათა შეჯახება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს გლობალურ პოლიტიკაზე; მათი გამყოფი ხაზები საბრძოლო ხაზებად გადაიქცევა.

ცივილიზაციებს შორის კონფლიქტის ევოლუციის უკანასკნელი ფაზა იქნება თანამედროვე მსოფლიოში. ვესტფალიის ზავის შედეგად, თანამედროვე საერთაშორისო სისტემის აღმოცენებიდან საუკუნენახევრის შემდეგ, დასავლურ სამყაროში ხშირად ხდებოდა კონფლიქტები ხელისუფალ-იმპერატორებს, აბსოლუტურ და კონსტი-

ტუციურ მონარქებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი ბიუროკრატიის, არმიის, მერკანტილისტური ეკონომიკური სტაბილურობისა და, რაც მთავარია, იმ ტერიტორიის გაფართოებას, რომელზეც მათი მმართველობა ვრცელდებოდა. ამ პროცესში ისინი აყალიბებდნენ ერ-სახელმწიფოებს და, საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, კონფლიქტები ხდებოდა არა პრინციებს, არამედ ერ-სახელმწიფოებს შორის. როგორც 1793 წელს რ. რ. პალმერმა განაცხადა: „მეფეთა ომები დასრულდა, დაიწყო ომები ადამიანთა შორის“. მეცხრამეტე საუკუნის მოდელი პირველ მსოფლიო ომამდე იყო აქტუალური. ამის შემდეგ, რუსეთის რევოლუციისა და მის წინააღმდეგ გამოხატული რეაქციის შედეგად, ერებს შორის კონფლიქტები ჩაანაცვლა იდეოლოგიებს შორის კონფლიქტებმა. პირველი კონფლიქტი წარმოიშვა კომუნიზმსა და ფაშიზმს/ნაციზმს შორის, მოგვიანებით კი კომუნიზმსა და ლიბერალურ დემოკრაციას შორის.

„ცივი ომის“ პერიოდში ეს უკანასკნელი გარდაისახა კონფლიქტად ორ ზესახელმწიფოს შორის, რომელთაგან არც ერთი არ იყო ერი-სახელმწიფო კლასიკური ევროპული გაგებით და თითოეულმა მათგანმა თავისი იდენტობა იდეოლოგიის საშუალებით განსაზღვრა. ხელისუფალთ, ერ-სახელმწიფოებსა და იდეოლოგიებს შორის მსგავსი კონფლიქტები, ძირითადად, დასავლურ ცივილიზაციებში გვხვდებოდა, რომლებსაც უილიამ ლინდმა „დასავლური სამოქალაქო ომები“ უწოდა. ეს სახელწოდება შეესაბამება „ცივი ომსაც“, იმდენად, რამდენადაც ისიც მსოფლიო ომებისა და უფრო ადრეული, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების ომების კატეგორიას მიეკუთვნება.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკა გაცდა დასავლეთს და მის ცენტრალურ ობიექტს წარმოადგენს ურთიერთქმედება როგორც დასავლურსა და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის, ასევე არადასავლურ ცივილიზაციებს შორისაც. ცივილიზაციათა პოლიტიკაში არადასავლური ცივილიზაციების ხალხები და მთავრობები აღარ წარმოადგენენ ისტორიის ობიექტებს, როგორც დასავლური კოლონიალიზმის სამიზნეები. ისინი უერთდებიან დასავლეთს, როგორც ისტორიის მამოძრავებელი და შემქმნელი ძალები.

ცივილიზაციათა ბუნება

„ცივი ომის“ დროს მსოფლიო დაყოფილი იყო პირველ, მეორე და მესამე სამყაროს ქვეყნებად. დღესდღეობით, ასეთი დაყოფა აქტუალური აღარ არის. დღეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ქვეყნების დაჯგუფება მოხდეს არა მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემების ან მათი ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, არამედ კულტურისა და ცივილიზაციის საფუძველზე.

რას ვგულისხმობთ, როდესაც ცივილიზაციაზე ვსაუბრობთ? ცივილიზაცია კულტურული გაერთიანებაა. სოფლებს, რეგიონებს, ეთნიკურ ჯგუფებს, ეროვნებებს, რელიგიურ ჯგუფებს – ყველას აქვს გამორჩეული კულტურა ჰეტეროგენულობის სხვადასხვა დონეზე. სამხრეთ იტალიაში მდებარე სოფლის კულტურა, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ჩრდილოეთ იტალიის სოფლის კულტურისგან, მაგრამ ორივესთვის საერთო იქნება ზოგადი იტალიური კულტურა, რაც მათ გერმანული სოფლებისგან გამოარჩევს.

ევროპულ საზოგადოებებს, თავის მხრივ, აქვთ საერთო კულტურული თვისებები, რომლებიც მათ განასხვავებს არაბული ან ჩინური საზოგადოებებისგან. არაბები, ჩინელები და დასავლეთის ქვეყნების მცხოვრებნი არ წარმოადგენენ უფრო დიდი კულტურული გაერთიანების კომპონენტებს, ისინი არიან ცივილიზაციები. ამრიგად, ცივილიზაცია წარმოადგენს ხალხის უმაღლეს კულტურულ დაჯგუფებას და მისი კულტურული იდენტობის უმაღლეს დონეს, რაც ადამიანებს სხვა არსებებისგან განასხვავებს. მას განსაზღვრავს როგორც ზოგადი ობიექტური ელემენტები, როგორებიცაა: ენა, ისტორია, რელიგია, ჩვეულებები, ინსტიტუციები, ასევე ადამიანების სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია. ადამიანებს გააჩნიათ იდენტობის სხვადასხვა დონე: რომის მცხოვრებმა, შესაძლოა, თავისი თავის იდენტიფიცირება მოახდინოს სხვადასხვა დონის ინტენსივობით და თავს თვლიდეს, როგორც რომაელად, ასევე იტალიელად, კათოლიკედ, ქრისტიანად, ევროპელად და დასავლეთის მკვიდრად. ცივილიზაცია, რომელსაც ის ეკუთვნის, არის ფართო არეალი, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია საკუთარი თავის იდენტიფიკაცია. ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი იდენტობის ხელახლა განსაზღვრა და ასეც იქცევიან, რაც ინვესს ცივილიზაციების შემადგენლობისა და საზღვრების ცვლილებას.

ცივილიზაციებში, შესაძლოა, თავი მოიყაროს ადამიანების ფართო მასამ, როგორც ეს ჩინეთის შემთხვევაშია („ცივილიზაცია, რომელსაც თავი სახელმწიფოდ მოაქვს“, – როგორც ლუჩიან პაი ამბობს) ან პირიქით – ადამიანების მცირე ჯგუფმა. ამ უკანასკნელის მაგალითია ანგლოფონურკარიბული ცივილიზაცია. ცივილიზაცია, შესაძლოა, აერთიანებდეს რამდენიმე ერ-სახელმწიფოს, როგორც ეს დასავლურ, ლათინურამერიკულ და არაბულ ცივილიზაციებშია, ან კიდევ ერთს, მაგ., იაპონურ ცივილიზაციას. ცივილიზაციები, რა თქმა უნდა, ხშირად ერთმანეთში ირევა და ერთი მეორეს კვეთს. აგრეთვე, ცივილიზაცია, შესაძლოა, მოიცავდეს ქვეცივილიზაციებსაც.

დასავლურ ცივილიზაციაში ორი ძირითადი ტიპი გვხვდება – ევროპული და ჩრდილოეთ ამერიკული. ისლამის ქვეჯგუფებია: არაბული, თურქული და მალაიური. ცივილიზაციები მნიშვნელოვანი გაერთიანებებია, მათი არსებობა რეალურია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისინი მკაფიოდ არ არიან ერთმანეთისგან გამიჯნული. ცივილიზაციებს დინამიკურობა ახასიათებს. არსებობს მათი აღმავლობისა და დაღმავლობის, შერწყმისა და დაყოფის პერიოდები. კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ბევრი ცივილიზაცია აღიგავა პირისაგან მიწისა.

დასავლეთის მკვიდრნი მიიჩნევენ, რომ ერი-სახელმწიფოები გლობალური პოლიტიკის მთავარი მოთამაშეები არიან. საგულისხმოა, რომ ასეთი ვითარება მხოლოდ რამდენიმე საუკუნეა, რაც არსებობს. კაცობრიობის უფრო ხანგრძლივი ისტორია კი ცივილიზაციების ისტორიაა.

„ისტორიის კვლევაში“ არნოლდ ტონიზი ოცდაერთ ძირითად ცივილიზაციაზე საუბრობს, რომელთაგან მხოლოდ ექვსი არსებობს თანამედროვე მსოფლიოში.

რა გამოიწვევს ცივილიზაციათა შეჯახებას?

ცივილიზაციური იდენტობა მომავალში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს და მსოფლიოს მონყოლაში ძირითად როლს შეასრულებს შვიდი ან რვა ძირითადი ცივილიზაციის ურთიერთქმედება. ესენია: დასავლური, კონფუციანური, იაპონური, ისლამური, ინ-

დური, სლავურ-ორთოდოქსული, ლათინურამერიკული და, შესაძლოა, აფრიკული ცივილიზაციები. მომავალში მნიშვნელოვანი კონფლიქტების უმეტესი ნაწილი ცივილიზაციათა შორის არსებული კულტურული განხეთქილებების ნიადაგზე წარმოიქმნება.

და მაინც, რატომ განვითარდება მოვლენები ასეთი სცენარით? პირველ ყოვლისა, ცივილიზაციათა შორის განსხვავებები არა მხოლოდ რეალურია, არამედ ძირეულიც. ცივილიზაციები განსხვავდებიან ისტორიით, ენით, კულტურით, ტრადიციით და, რაც მთავარია, რელიგიით. სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ღმერთისა და ადამიანის, პიროვნებისა და ჯგუფის, მოქალაქისა და სახელმწიფოს, მშობლებისა და შვილების, ქმრისა და ცოლის ურთიერთობაზე და იმგვარი ცნებების შედარებით მნიშვნელობაზეც, როგორებიცაა: უფლება და მოვალეობა, თავისუფლება და ძალაუფლება, თანასწორობა და იერარქია. ეს განსხვავებები საუკუნეების განმავლობაში ფორმირდებოდა და მათი ერთბაშად გაქრობა შეუძლებელია. მათ გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვთ, ვიდრე პოლიტიკური იდეოლოგიებისა და რეჟიმების დაპირისპირებას. რა თქმა უნდა, განსხვავება აუცილებლად კონფლიქტს არ ნიშნავს და არც კონფლიქტი გულისხმობს ცალსახად ძალადობას. მიუხედავად ამისა, საუკუნეების განმავლობაში სწორედ ცივილიზაციათა შორის განსხვავებებმა წარმოშვა ყველაზე ხანგრძლივი და დაუნდობელი კონფლიქტები.

მეორე: მსოფლიო სულ უფრო და უფრო იკუმშება, ანუ იზრდება სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხების ურთიერთობის შესაძლებლობა. ინტენსიური ურთიერთობა კი აძლიერებს ცივილიზაციის ცნობიერებას და იმ განსხვავებათა შემჩნევის უნარს, რაც არა მარტო ამა თუ იმ ცივილიზაციას, არამედ ერთი ცივილიზაციის სხვადასხვა დაჯგუფებას შორის არსებობს. ჩრდილოეთ აფრიკელთა იმიგრაციას ფრანგები ძალიან მტრულად ხვდებიან მაშინ, როდესაც „კეთილ“ ემიგრანტებს – ევროპელ კათოლიკე პოლონელებს – გულთბილად ეგებებიან. იაპონური ინვესტიციებისადმი ამერიკელთა რეაქცია გაცილებით ნეგატიურია, ვიდრე კანადური ან ევროპული უფრო დიდი კაპიტალდაბანდებების მიმართ. სწორად შენიშნა დონალდ ჰოროვიცმა: „იბოს ტომის წარმომადგენელი ნიგერიის ყოფილ აღმოსავლეთ რეგიონში შეიძლება იყოს ოვერი იბო ან ონიშა იბო. ლაგოსში

ის უბრალოდ იბოა, ლონდონში – ნიგერიელი, ხოლო ნიუ იორკში – აფრიკელი“. ამრიგად, სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხთა ურთიერთობა ზრდის ადამიანების ცივილიზაციურ ცნობიერებას, რაც, თავის მხრივ, უფრო რელიეფურად გამოკვეთს განსხვავებებს და, აქედან გამომდინარე, შუღლსაც.

მესამე: მთელ მსოფლიოში დანაშაულები ეკონომიკური მოდერნიზაციისა და სოციალური ცვლილებების პროცესმა ადამიანები თავდაპირველ ლოკალურ იდენტობებს დააშორა და, ამავე დროს, სახელმწიფოს, როგორც იდენტობის სათავის როლიც შეასუსტა. ბევრ ქვეყანაში ამგვარი ხარვეზის გამოსწორება რელიგიამ დაისახა მიზნად, რაც, ხშირ შემთხვევაში, „ფუნდამენტალიზმად“ წოდებული მოვლენის ფორმით გამოიხატა. მსგავსი მოვლენა ახასიათებს როგორც ისლამს, ასევე დასავლურ ქრისტიანობას, იუდაიზმს, ბუდიზმსა და ინდუიზმს. უმეტეს ქვეყნებში ფუნდამენტალისტური მოძრაობების ყველაზე აქტიური ფენა ახალგაზრდობაა, კოლეჯდამთავრებული საშუალო კლასის წარმომადგენლები, ტექნიკური სპეციალისტები თუ ბიზნესის სფეროში მომუშავე პროფესიონალები. ჯორჯ უაიგელის აზრით, „სამყაროს ანსეკულარიზაცია ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური ფაქტია მეოცე საუკუნის ბოლოს“. რელიგიის გაცოცხლება, „ღმერთის რევანში“, როგორც ჟილ კეპელმა უწოდა ამ მოვლენას, ერთგვაროვნებისა და საერთო მოვლენების საფუძველს ქმნის, რაც ეროვნულ საზღვრებს სცდება და უკვე ცივილიზაციებს აერთიანებს.

მეოთხე: ცივილიზაციური ცნობიერების გამძაფრებას დასავლეთის ორგვარი როლიც განაპირობებს. ერთი მხრივ, დასავლეთი ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფება და, ალბათ, სწორედ ამის შედეგად, არადასავლურ ცივილიზაციებში სულ უფრო აშკარად იჩენს თავს ფესვებისაკენ დაბრუნების ფენომენი. ამ ბოლო დროს თანდათან აშკარად იკვეთება იაპონიის საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და „გააზიურების“ ტენდენცია, სულ უფრო ხშირად ისმის ლაპარაკი ნერუს მემკვიდრეობის დასასრულსა და ინდოეთის „ინდუიზაციაზე“, სოციალიზმისა და სახელმწიფოებრიობის დასავლური იდეების მარცხზე ახლო აღმოსავლეთში და ამდენად, მის „რეისლამიზაციაზე“. ყოველივე ამას კი დღეს უკვე ბორის ელცინის ქვეყანაში ატეხილი გაცხოველებული კამათიც ემატება რუსეთის ვესტერნიზაციისა თუ „გარუსეთების“ შესახებ. ძალაუფლების მწვერვალზე მყოფი დასა-

ვლეთი პირისპირ შეეჯახა „არადასავლეთს“, რომელიც სულ უფრო მზარდ მისწრაფებას, სურვილსა და შესაძლებლობას ავლენს, თავისებურ, არადასავლურ ყაიდაზე მოაწყოს სამყარო.

ნარსულში არადასავლურ საზოგადოებათა ელიტას ის ხალხი წარმოადგენდა, ვინც ყველაზე მეტად იყო ნაზიარები დასავლურ იდეებს. ვინაიდან მათ განათლება ოქსფორდში, სორბონასა თუ სენდჰერსტში ჰქონდათ მიღებული, გათავისებული ჰქონდათ დასავლური შეხედულებები და ფასეულობები, ხოლო უბრალო ხალხი, არადასავლური ქვეყნების მოსახლეობა, მკვიდრი კულტურისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა. დღეს მდგომარეობა აშკარად შეიცვალა. ბევრ არადასავლურ ქვეყანაში თავს იჩენს ელიტის მიდრეკილება დევესტერნიზაციისკენ მაშინ, როცა დასავლური, ჩვეულებრივ ამერიკული კულტურა, ცხოვრების სტილი და წეს-ჩვეულებანი თანდათანობით სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ხალხის ფართო მასებში.

მეხუთე, კულტურული თავისებურებანი და განსხვავებანი ნაკლებად ცვალებადია პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურთან შედარებით. აქედან გამომდინარე, უფრო ძნელად დასათმობი და დასაძლევიც. ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტებს შეუძლიათ გადემოკრატიდნენ, მდიდრები გაღარიბდნენ, ღარიბები კი გამდიდრდნენ, მაგრამ შეუძლებელია, ვთქვათ, რუსების „გაესტონელება“ ან/და აზერბაიჯანელების „გასომხება“.

კლასობრივ თუ იდეოლოგიურ კონფლიქტში მთავარი კითხვა იყო: „ბარიკადის რომელ მხარეს დგახარ?“ რაც ხალხს არჩევანის შესაძლებლობას უქმნიდა. ცივილიზაციათა კონფლიქტის დროს საკითხი უკვე ასე დგას: „ვინა ხარ შენ?“ ეს ისეთი მოცემულობაა, რომლის შეცვლაც არ შეიძლება. დავრწმუნდით კიდეც, რომ ბოსნიიდან მოყოლებული კავკასიამდე, ამ კითხვაზე არასწორი პასუხის გაცემა ტყვიის ფასად შეიძლება დაუჯდეს ადამიანს. ეთნიკურობაზე მეტად, უფრო მკაცრად და მკვეთრად, ადამიანებს რელიგია განასხვავებს. პიროვნება შეიძლება ნახევრად ფრანგი და ნახევრად არაბი იყოს, ერთდროულად კი ორი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე. გაცილებით ძნელია, პრაქტიკულად შეუძლებელიც, ნახევრად კათოლიკობა და ნახევრად მუსლიმანობა.

დასასრულს, იზრდება ეკონომიკური რეგიონალიზმი. რეგიონთა შორის საერთო ვაჭრობის შეფარდება 1980-89 წლებში 51-იდან 59